



## სარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამები

(2022 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)

წინამდებარე გზამკვლევაში ასახულია მუნიციპალური პროგრამები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის, ისე სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის

## პროგრამების სარჩევი

<b>1. საცხოვრებლით უზრუნველყოფა .....</b>	<b>3</b>
1.1. სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების დახმარება .....	3
1.2. ბინის ქირით უზრუნველყოფა .....	3
<b>2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები .....</b>	<b>4</b>
2.1. მატერიალური დახმარება მოქალაქის ოპერაციის, სამედიცინო მომსახურების, კვლევისა და მედიკამენტის დაფინანსებისას .....	4
2.2. დახმარება მედიკამენტების შესაძენად .....	5
2.3. ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სენსებით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება .....	6
2.4. დახმარება სკოლამდელი ასაკის ბავშვებს კურორტ ნუნისში პოსტ-კოვიდური გართულების სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად .....	6
<b>3. სოციალური დაცვის პროგრამები .....</b>	<b>7</b>
3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება .....	7
3.2. მარჩენალდაკარგულთა დახმარება .....	8
3.3. ყოველთვიური ფინანსური დახმარება ვეტერანებისათვის, უსინათლოებისა და დევნილებისთვის .....	8
3.4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის .....	9
3.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.....	9
3.6. ვეტერანთა დახმარება .....	10
3.7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის ხანდაზმულების დახმარება .....	10
3.8. გარდაცვლილი დევნილის, ომის, სამხედრო და თავდაცვის ძალების ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები .....	11
3.9. სოციალურად დაუცველი ან უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯები .....	11
3.10. დახმარება სადღესასწაულო დღეებში .....	12
3.11. გადაუდებელი დახმარება/რეაგირება .....	12
<b>4. დემოგრაფიული პროგრამები .....</b>	<b>13</b>
4.1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება .....	13
4.2. მარტოხელა მშობლების დახმარება .....	14
4.3. ახალშობილთა ოჯახების დახმარება .....	14
<b>5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია .....</b>	<b>15</b>

## 1. საცხოვრებლით უზრუნველყოფა

### 1.1. სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების დახმარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების დახმარება მინიჭებული კატეგორიების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- ✓ პირველი კატეგორია – 1000-დან 1500 ლარამდე;
- ✓ მეორე კატეგორია – 500-დან 1000 ლარამდე;
- ✓ მესამე კატეგორია – 200-დან 500 ლარამდე.

დახმარების ოდენობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

### 1.2. ბინის ქირით უზრუნველყოფა

სამიზნე ჯგუფი:

- სოციალურად დაუცველ უსახლკარო – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს.

დახმარების ოდენობა:

- ბინის ქირა აუნაზღაურდება არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად:

წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ ქირავნობის ხელშეკრულება;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის ან/და სასამართლო ორგანოს ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ ბენეფიციარისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი

დოკუმენტი (ამ ქვეპუნქტით „„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს...“ სარგებლობის შემთხვევაში);

- ✓ ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ქვეპუნქტით „სოციალურად დაუცველ უსახლკარო – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში“ სარგებლობის შემთხვევაში);
- ✓ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. ბენეფიციარის პირად ანგარიშზე.

## 2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

### 2.1. მატერიალური დახმარება მოქალაქის ოპერაციის, სამედიცინო მომსახურების, კვლევისა და მედიკამენტის დაფინანსებისას

დახმარების ოდენობა:

- მოქალაქეს სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობისათვის დახმარება გაეწევა – იმ თანხის 50%-ით, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის პროგრამით, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;
- სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების (ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადება) მკურნალობისას – 1500 ლარამდე.
- სამედიცინო გამოკვლევებისთვის – არაუმეტეს 500 ლარისა.

წარდასგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV – 100/ა);
- ✓ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;
- ✓ საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის ან სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი;
- ✓ არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ქსეროასლი (საჭიროების შემთხვევაში); არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (საჭიროების შემთხვევაში).

## 2.2. დახმარება მედიკამენტების შესაძენად

სამიზნე ჯგუფებია შედეგი დაავადების მქონე პაციენტები:

- ✓ ეპილეფსია;
- ✓ პარკინსონი;
- ✓ ბრონქიალური ასთმა;
- ✓ ფილტვის ქრონიკული ობსტრუქცია.
- ✓ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 001-ს.
- ✓ კოვიდის და კოვიდის შემდგომი გართულებების მკურნალობისას.

დახმარების ოდენობა:

- 150 ლარამდე.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV – 100/ა);
- ✓ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;
- ✓ ექიმის მიერ დანიშნული წამლების ჩამონათვალი ბეჭდით დამოწმებული და ხელმოწერილი;
- ✓ ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;
- ✓ ცნობა კოვიდის დადასტურების შესახებ (ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში);
- ✓ არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ქსეროასლი (ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემთხვევაში).

დახმარება გაეწევა ბენეფიციარებს, რომლებიც არ მონაწილეობენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა ადმინისტრაციული დაპირება.

### 2.3. ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება

#### სამიზნე ჯგუფები და დახმარების ოდენობა:

- ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ *ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით.*
- ლეიკემიით დაავადებულებს დახმარება გაეწევათ *წელიწადში 600 ლარის ოდენობით.*

#### წარდასგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV – 100/ა);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

### 2.4. დახმარება სკოლამდელი ასაკის ბავშვებს კურორტ ნუნისში პოსტ-კოვიდური გართულების სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად

#### სამიზნე ჯგუფი:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვები, რომელთაც ჭირდებათ პოსტ-კოვიდური გართულების სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება.

#### დახმარების ოდენობა:

- კურორტ ნუნისში პოსტ-კოვიდური გართულების სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად - არაუმეტეს 1400 ლარისა.

#### წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV – 100/ა);
- ✓ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი დაწესებულებიდან;
- ✓ არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (საჭიროების შემთხვევაში);
- ✓ ცნობა კოვიდის დადასტურების შესახებ.

### 3. სოციალური დაცვის პროგრამები

#### 3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

სამიზნე ჯგუფები და დახმარების ოდენობა:

- კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პირს, ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ელემენტის/ნაწილების შესაძენად - **წელიწადში 1000 ლარის ოდენობით**;
- შშმ 18 წლამდე ასაკის ბავშვს მედიკამენტოზური და სამკურნალო სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსებით - **1200 ლარამდე**;
- შშმ პირს, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ არის სოციალური შემწეობის მიმღები - მომვლელი, **თვეში 30 ლარის ოდენობით**.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV – 100/ა);
- ✓ საექსპერტო-სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ ქვეპუნქტების („შშმ 18 წლამდე ასაკის ბავშვს მედიკამენტოზური და სამკურნალო სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსებით – 1200 ლარამდე“ და „შშმ პირს, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ არის სოციალური შემწეობის მიმღები - მომვლელს, თვეში 30 ლარის ოდენობით.“) შემთხვევაში;
- ✓ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები ქვეპუნქტის („შშმ პირს, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ არის სოციალური შემწეობის მიმღები - მომვლელს, თვეში 30 ლარის ოდენობით.“) შემთხვევაში;
- ✓ ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ ქვეპუნქტის („შშმ პირს, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ არის სოციალური შემწეობის მიმღები - მომვლელს, თვეში 30 ლარის ოდენობით.“) შემთხვევაში.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

### 3.2. მარჩენალდაკარგულთა დახმარება

#### სამიზნე ჯგუფები:

- ✓ 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგულ პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი.

#### დახმარების ოდენობა:

- ✓ დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე პირზე.

#### წარსადგენი დოკუმენტები:

- განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- პირის/პირების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- მშობლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- გარდაცვლილი მშობლის გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი;
- ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.

#### ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე:

### 3.3. ყოველთვიური ფინანსური დახმარება ვეტერანებისათვის, უსინათლოებისა და დევნილებისთვის

#### სამიზნე ჯგუფები:

- ✓ დიდი სამამულო ომის ვეტერანები;

ბენეფიციარების დახმარება გაიწევა მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად.

- ✓ უსინათლოთა კავშირში რეგისტრირებული უსინათლოები.

ბენეფიციარების დახმარება გაიწევა უსინათლოთა კავშირის ზესტაფონის ფილიალის მიერ ყოველთვიურად მოწოდებული სახელობითი სიის შესაბამისად.

- ✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები დევნილები.

#### წარსადგენი დოკუმენტები:

- განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
- ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები (განმცხადებლის).

#### დახმარების ოდენობა:



- ✓ თვეში 50 ლარის ოდენობით.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

### 3.4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის

სამიზნე ჯგუფი:

- ოჯახები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს მატერიალურ ხელმოკლეობას.

დახმარების ოდენობა:

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაუმეტეს 500 ლარისა.

წარსადგენი დოკუმენტები:

ბენეფიციარმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიღების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
- ✓ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
- ✓ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

### 3.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

სამიზნე ჯგუფები და დახმარების ოდენობა:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა იმ ოჯახებს, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება წელიწადში 2000 ლარს ოდენობით;
- 2008 წლის წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახს - 500 ლარის ოდენობით.

ბენეფიციარების დახმარება გაიწევა მუნიციპალიტეტის მერიის განდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად.

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

### **3.6. ვეტერანთა დახმარება**

სამიზნე ჯგუფები:

- დახმარების მიმღებია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით.

დახმარების ოდენობა:

- დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა.

დახმარებისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

- ✓ განცხადება მერის სახელზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ვეტერანის მოწმობის ასლი;
- ✓ საბანკო ანგარიშის ნომერი;

დახმარების ოდენობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

### **3.7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის ხანდაზმულების დახმარება**

სამიზნე ჯგუფები:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის ხანდაზმულები

დახმარების ოდენობა:

- საიუბილეოდ 1000 ლარის ოდენობით.

დახმარება გაიცემა მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი და საბანკო ანგარიშის მონაცემები.

### 3.8. გარდაცვლილი დევნილის, ომის, სამხედრო და თავდაცვის ძალების ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები

#### სამიზნე ჯგუფები:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის, ომის, სამხედრო და თავდაცვის ძალების ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში.

#### დახმარების ოდენობა:

- სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება განისაზღვროს – 250 ლარის ოდენობით.

#### წარსადგენი დოკუმენტები:

ბენეფიციარის ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიღების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ გარდაცვალების მოწმობა;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ომის, სამხედრო და თავდაცვის ძალების ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი და იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები (განმცხადებლის).

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

### 3.9. სოციალურად დაუცველი ან უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯები

#### სამიზნე ჯგუფები:

- სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული 65001 სარეიტინგო ქულამდე მყოფი გარდაცვლილის ოჯახი
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისთვის.

#### დახმარების ოდენობა:

- დაკრძალვის ხარჯისთვის დახმარება 200 ლარის ოდენობით.
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისთვის გაიწევა დახმარება 300 ლარის ოდენობით.

#### წარსადგენი დოკუმენტები:

სოციალურად დაუცველი მიცვალებულის დაკრძალვისათვის დახმარების მისაღებად გარდაცვლილის ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

- ✓ გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან გარდაცვლილის სარეიტინგო ქულის შესახებ;
- ✓ განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისთვის დახმარების მისაღებად გარდაცვლილის ნათესავმა/ მეზობელმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი;
- ✓ განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;
- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

### 3.10. დახმარება სადღესასწაულო დღეებში

ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება:

- ✓ ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებისათვის – 200 ლარის ოდენობით;
- ✓ ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებისათვის – 100 ლარის ოდენობით;
- ✓ 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებისათვის – 300 ლარის ოდენობით;
- ✓ დაუნის სინდრომის მქონე მოქალაქეებისათვის – 100 ლარის ოდენობით;
- ✓ აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე პირებისათვის – 100 ლარის ოდენობით.
- ✓ საკვები პროდუქტის შეძენა ან/და ფინანსური დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის დღესასწაულთან დაკავშირებით, რომლის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი.

ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების დახმარება გაიწევა მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზიდან ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

ბენეფიციარმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა, ფინანსური დახმარების მიზნით, მერიაში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი და ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.

### **3.11. გადაუდებელი დახმარება/რეაგირება**

სამიზნე ჯგუფი:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას.

დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური (საყოფაცხოვრებო საჭიროებიდან გამომდინარე).

დამხარება გაიწევა განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

ოჯახში ვიზიტს ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც აფასებს ოჯახის მდგომარეობას და საჭიროებას. კომისიის დასკვნის საფუძველზე ოჯახს გაეწევა შესაბამისი დახმარება.

მატერიალური დახმარების მიღების მსურველმა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობით რეგისტრაციის ადგილის დაუდგენლობის შემთხვევაში მერიაში დამატებით უნდა წარმოადგინოს განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.

## **4. დემოგრაფიული პროგრამები**

### **4.1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

სამიზნე ჯგუფი:

- მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150001-ს და ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი.

დახმარების ოდენობა:

- დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ – თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ ერთ-ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლები;
- ✓ ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;
- ✓ განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

#### 4.2. მარტოხელა მშობლების დახმარება

##### სამიზნე ჯგუფი:

- მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი,

##### დახმარების ოდენობა:

- ყოველთვიურად – 50 ლარის ოდენობით.

##### წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ შვილის/შვილების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
- ✓ საბანკო ანგარიშის ნომერი.

#### 4.3. ახალშობილთა ოჯახების დახმარება

##### სამიზნე ჯგუფი:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები.

##### დახმარების ოდენობა:

- პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში 100 ლარი,
- მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 150 ლარი
- ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი.
- ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით.
- სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით.

##### წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- ✓ ახალშობილის დაბადების მოწმობის ქსეროასლი (მეორე და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს ყველა დანარჩენი ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი);
- ✓ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები.

## 5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია

📍 მისამართი: ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა # 15, ინდექსი:5600

@ ელ.ფოსტა: Pr.kharagauli@gmail.com (მერია)

☎ ტელ: 0433 221 617 (მერია)

ვებ-გვერდი: <https://kharagaulinews.gov.ge/>

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 09:00 – 18:00 საათი;